მცირე და საშუალო ბიზნესის/ინოვაციების განვითარება

II ფაზა

2018 წლის 2 თებერვალს, რეფორმეტრის მეორე ფაზა მცირე და საშუალო მეწარმეთა/ინოვაციების განვითარების სტრატეგიის შესრულების შეფასებით გაგრძელდა.

სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპისთვის, 2020 წლამდე გაწერილი რეფორმის 39.2% არის შესრულებული. აღნიშნული მაჩვენებელი I ფაზაში (6 თვის წინ) 24.7%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური მოწყობის, კომპეტენციის გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურის ნაწილში პროგრესის ერთნაირი ტემპი შეინიშნება - აღნიშნულ კომპონენტებში რეფორმის 40% არის შესრულებული. გასათვალისინებელია, რომ სტრატეგიის ფარგლებში 2020 წლისათვის დაგეგმილი სამიზნე ინდიკატორები, 2016 წლის მდგომარეობით, უკვე შესრულებულია.

	2020	2016
მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად	10%	14.8%
მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა	15%	20.5%
მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობის ზრდა	7%	19.6%

ინსტიტუციური მოწყობის კომპონენტში ხაზგასასმელია, რომ მეწარმეობის სააგენტო კარგი მმართველობის ფონდთან და PwC-თან ერთად ახორციელებს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშეწყობის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივი მეწარმეების დაკავშირებასაც. ასევე, გასულ წელს მეწარმეობის სააგენტომ ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც პროექტს „აწარმოე საქართველოში“ დაემატა სასტუმროებისა და ფილმების კომპონენტი.

კომპეტენციის გაძლიერების კუთხით, აღნიშვნის ღირსია მეწარმეობის სწავლების გაძლიერების საკითხი პროფესიულ სასწავლებლებში, რაც გამოხატა არა მხოლოდ მეწარმეობის, როგორც საგნის დამატებით პროფესიულ პროგრამებში, არამედ თავად მოდულის გაუმჯობესებასა და მეწარმეობის ლექტორების გადამზადებაში.

ხაზგასასმელია, რომ იზრდება სტატისტიკური მონაცემები მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში, კერძოდ, ჩატარდა SME სექტორის სუსტი მხარეების კვლევა. ამასთან უკვე რეგულარული ხასიათი მიიღო „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში“ და „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში“ კვლევებმა.

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით - II ფაზა

რეფორმა: მცირე და საშუალო ბიზნესის/ინოვაციების განვითარება



დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 4.33 ქულა დაუწერა, რაც მცირედით ჩამოუვარდება წინა ფაზის შეფასებას, სადაც რეფორმამ 4.78 ქულა მიიღო.

დაინტერესებულ მხარეთა შეფასება - II ფაზა

რეფორმა: მცირე და საშუალო ბიზნესის/ინოვაციების განვითარება



დისკუსიაზე, რომელსაც დაინტერესებული მხარეები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, გაიჟღერა რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოსაზრებამ, რომელიც რეფორმის მიმდინარეობას უკავშირდება, კერძოდ:

- საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობა პატენტებზე და სასარგებლო მოდელებზე ძალიან დაბალია და წლიდან წლამდე მცირდება. ასევე, არ არსებობს კავშირი მეცნიერებასა და კერძო სექტორს შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ მეცნიერება, ძირითადად, ვითარდება ფუნდამეტური და არა პრაქტიკული მიმართულებით.
- მისასალმებელია, რომ შოთა რუსთაველის ფონდის გასცემს სხვადასხვა საფეხურის სამეცნიერო გრანტებს, თუმცა გრანტების ის მოცულობა, რაც დღეს არის გათვალისწინებული ძალიან მცირეა და მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს ქვეყნაში სამეცნიერო სფეროს

განვითარებაზე. თუმცა ასეთი დაფინანსების პირობებშიც კი, აუცილებელია იმის შესწავლა თუ რა მიმართულებებზე მიდის დაფინანსება და ამით რამდენად ხდება პრაქტიკული გამოყენებითი მეცნიერების პოპულარიზაცია.

- მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშესაწყობად გამართლებული იქნება საქართველოს გაერთიანება COSME პროგრამაში. ეს არის ევროკავშირის პროგრამა მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, რაც საშუალებას აძლევს მათ ხელი მიუწვდებოდეთ არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებზე, არამედ ევროკავშირის ბაზარზეც.
- GITA-ს მიერ გაჟღერდა ის საკითხი, რომ ბოლო ჩატარებული კვლევის თანახმად გამოირკვა რომ ქვეყნაში არსებობს ინოვაციების პოტენციალი, მაგრამ არ ხდება ინოვაციების კომერციალიზაცია. ამიტომ იგეგმება ტექნოლოგიური გადაცემის ცენტრალიზებული ცენტრის შექმნა ინოვაციების კომერციალიზაციისთვის.
- მართალია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გადავიდა მცირე და საშუალო მეწარმეობის ახალ განმარტებაზე, რომელიც ემთხვევა ევროკავშირის მეთოდოლოგიას, თუმცა ახალ სისტემაზე გადასვლა ეტაპობრივად მიმდინარეობს, რაც გარდამავალ პერიოდში ართულებს სტატისტიკური მონაცემების შედარების შესაძლებლობას. თუმცა 2018 წლიდან იგეგმება, რომ ყველა დაწესებულება გადავიდეს ახალ მეთოდოლოგიაზე, ამით იქნება შესაძლებლობა მოვახდინოთ საქართველოს შედარება სხვა ქვეყნებთან.
- GITA აგრეთვე გეგმავს კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდას მიმდინარე პროექტებში. ჩართულობა გულისხმობს კერძო სექტორის პროექტებში ჩართვას და მათ სუბსიდირებას, საკუთარი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაფართოების ნაცვლად.
- გამომდინარე ადგილობრივ ბაზარზე ინოვაციური პროდუქციის სიმცირისა და ასევე საექსპორტო ბაზარზე მათი გატანის ხელისშემშლელი ფაქტორებისა, აუცილებელია ქვეყნის შიგნით სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს ინოვაციური პროდუქტების წახალისება და სახელმწიფო შესყიდვებში მათი წილის გაზრდა.

შედეგად, **რეფორმვერდიქტი** - მთავრობის ერთიანი შეფასება მცირედით შემცირდა და მან 4.71 შეადგენს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია მცირე და საშუალო ბიზნესის/ინოვაციების რეფორმის მეორე ფაზაშო შეფასების შემცირებით.



ცვლილებები რეფორმის ინდიკატორებში

2017 წლის I-III კვარტალში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მთლიანი **გამოშვება** გაზრდილია +18%-ით, მათ შორის მნიშვნელოვნი ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში +41%-ით.

	2016 I-III	2017 I-III	ცვლილება (%)
მშენებლობა	733.9	1,036.1	41%
ვაჭრობა	906.4	968.0	7%
დამამუშავებელი მრეწველობა	753.7	889.5	18%
უძრავი ქონება	809.5	874.0	8%
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	425.3	565.4	33%
სხვა სექტორი	922.3	1,045.4	13.3%

2017 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს სექტორზე გაცემული **სესხების** 56% მცირე და საშუალო ზომის ბიზნესზე მოდის.

2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე ლარში გაცემული სესხების მოცულობა გაზრდილია +43%-ით. აღსანიშნავია, რომ სესხების **საპროცენტო განაკვეთი** კლების ტენდენციით ხასიათდება.



2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საკუთარი **უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების** მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (+57%), მაშინ როცა კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხების მოცულობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.



2017 წელს საქპატენტში **გამოგონებასა და სასარგებლო მოდელებზე შესული განაცხადების** რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული (-16%). შემცირებულია როგორც უნივერსიტეტების, ასევე ფიზიკური პირების მიერ შეტანილი განცხადებების რაოდენობა.



სამთავრობო კვლევა
Government Survey

მცირე და საშუალო ბიზნესის/ინოვაციების განვითარება

II ფაზა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რა არის სამთავრობო კვლევა?

სამთავრობო კვლევა – სპეციალური, შეთანხმებული კითხვარის საშუალებით ზომავს კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულებას

კითხვარი შედგება 4 სეგმენტისგან

სეგმენტი	აღწერა	აქტივობის მაგალითი	შედეგის მაგალითი
1. ინსტიტუციური მოწყობა	▪ ფუნქციების განაწილება ▪ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	სტრატეგია	გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება
2. ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსების მობილიზაცია და განვითარება	სააგენტოს ოპერაციონალარი მოწყობა	ტრენინგები
3. ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	▪ ბიუჯეტი ▪ შენობა და მოწყობილობები	ბიუჯეტის მობილიზება	გრანტების გაცემა
4. კანონმდებლობა და რეგულაცია	საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩო	კანონდებლობის ანალიზი	ახალი კანონი

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

ოფიციალური დოკუმენტები

- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის
- ინოვაციური საქართველო 2020 - საქართველოს ინოვაციების სტრატეგია 2016-2020 (პროექტი)

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით I ფაზა



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით II ფაზა



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

- **სტრატეგიის სამიზნე მაჩვენებლები** (საბაზისო წელი- 2013):

	2020	2016
მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად	10%	14.8%
მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა	15%	20.5%
მცირე და საშუალო საწარმოების მწარმოებლურობის ზრდა	7%	19.6%

ინსტიტუციური მოწყობა

40% ↗
პროგრესირებს

- **მცირე და საშუალო ბიზნესის მხრიდან ბიზნესის ხელშემწყობ სერვისებზე მოთხოვნის კვლევა**
  მეწარმეობის სააგენტომ ჩაატარა კვლევა, რის შედეგადაც პროექტს „აწარმოე საქართველოში“ დაემატა სასტუმროებისა და ფილმების კომპონენტი

- **FDI-SME დამაკავშირებელი ინსტრუმენტი**
  მეწარმეობის სააგენტო კარგი მმართველობის ფონდთან და PwC-თან ერთად ახორციელებს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის ხელშეწყობის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივი მეწარმეების დაკავშირებასაც.

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით



უწყვეტი სამეწარმეო სწავლება (LLEL)

- მეწარმეობის სწავლება 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტია
- მეწარმეობის მოდული პროფესიული განათლების ყველა პროგრამისთვის სავალდებულო გახდა
- მეწარმეობის მოდული გაუმჯობესდა და მეწარმეობის ლექტორები გადამზადდნენ

ინფორმაცია მცირე ბიზნესის დაწყებისა და მართვის შესახებ

- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 11,460 ბენეფიციარმა მიიღო ინფორმაცია ბიზნესის დაწყებისა და მართვის შესახებ
- გზამკვლევი „როგორ დავიწყოთ ბიზნესი“- www.economy.ge/uploads/gzamkvlevi/Business_Guide-_2013.pdf

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით



- **SME სექტორის სუსტი მხარეების კვლევა - SME Policy Index, 2016**
- **ინოვაციების სტატისტიკა**

საქსტატი:

- საწარმოთა ინოვაციური აქტივობა
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში

- **ინოვაციების ინდიკატორების მუდმივი მონიტორინგი**

ინოვაციების სააგენტო ახორციელებს ინოვაციების ინდიკატორების მონიტორინგს განხორციელებული პროგრამების ფარგლებში

- **კვლევაზე და განვითარებაზე საგადასახადო შეღავათები ჯერ არ დაწესებულა**



ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

- **ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების დამოუკიდებელი შეფასება**
- სტარტაპ საქართველოს პროექტები 2016-ში შეფასდა სილიკონ ველის ექსპერტების მიერ
- დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის გრანტებთან მიმართებით ამოქმედდება 2018 წლის თებერვლიდან
- **GITA-ს პროექტები:**

პროგრამა	მთლიანი რიცხვი	მხოლოდ 2017-ში
სტარტაპ საქართველო	20	-
მცირე გრანტების პროგრამა	15	-
მიკრო გრანტების პროგრამა	187	59
ფაბლაბები	25	14

მცირე გრანტები სექტორების მიხედვით:

- საინფორმაციო ტექნოლოგია
- ბიოტექნოლოგია
- გარემოს დაცვა და ენერგოეფექტურობა
- ვირტუალური რეალობა
- ტურიზმი
- ნანოტექნოლოგია
- სოფლის მეურნეობა
- ელექტრონიკა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით II ფაზა



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა 100% - გეგმა სრულად შესრულდა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

სტრატეგია 2018-2020

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

რეფორმეტრი

თითოეული რეფორმის კვალდაკვალ

საშედეგო ინდიკატორები

მცირე და საშუალო მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარება

2017 – მეორე ფაზა

ReforMeter
Tracking Progress - One Reform at a Time

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University

ზომის განსაზღვრის კრიტერიუმები:

- მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.

- საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

- მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანი გამოშვება





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვება სექტორების მიხედვით

(I-III კვარტალი 2017)



მლნ.

	2016 I-III	2017 I-III	ცვლილება (%)
მშენებლობა	733.9	1,036.1	41%
ვაჭრობა	906.4	968.0	7%
დამამუშავებელი მრეწველობა	753.7	889.5	18%
უძრავი ქონება	809.5	874.0	8%
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	425.3	565.4	33%
სხვა სექტორი	922.3	1,045.4	13.3%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა სექტორების მიხედვით

(I-III კვარტალი 2017)



	2016 I-III	2017 I-III	ცვლილება (%)
ვაჭრობა	66,639.9	63,352.4	-4.9%
უძრავი ქონება	33,031.8	32,032.6	-3.0%
დამამუშავებელი მრეწველობა	28,750.3	30,790.2	7.1%
მშენებლობა	21,090.5	22,586.9	7.1%
სასტუმროები და რესტორნები	18,643.3	17,298.4	-7.2%
სხვა სექტორები	62,344.7	64,037.4	2.7%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობა რეგიონების მიხედვით

გამოშვება ერთ აქტიურ კომპანიაზე

(მლნ.ლარი)



გამოშვება ერთ დასაქმებულზე

(მლნ.ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქტიულობა სექტორების მიხედვით

გამოშვება ერთ აქტიურ კომპანიაზე

(მლნ. ლარი)



გამოშვება ერთ დასაქმებულზე

(მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოების სესხების წილი მთლიან ბიზნეს სესხებში



მცირე და საშუალო საწარმოების სესხების მოცულობა (მლნ. ლარი)

წელი	2016	2017
სექტმბერი	3895	4499
ოქტომბერი	3939	4713
ნოემბერი	4125	4995

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოების სესხები ლარში და დოლარში

(მოცულობა და საპროცენტო განაკვეთები)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოების

უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები ლარში





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოების სესხები სექტორების მიხედვით

(ლარში და დოლარში)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში



ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ექსპორტის მოცულობა

წელი	მლნ. დოლარი
2011	39.1
2012	49.7
2013	54.5
2014	56.4
2015	45.0
2016	56.2
2017 I - III	58.0

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაღალ-ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი

(წილი სამრეწველო პროდუქციის ექსპორტში)



„მაღალ-ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი მოიცავს თვითმფრინავების, კომპიუტერების, მედიკამენტების, სამეცნიერო ინსტრუმენტებისა და ელექტრო მოწყობილობების ექსპორტს.“

მაღალ-ტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის მოცულობა

წელი	მლნ. დოლარი
2011	10.9
2012	19.2
2013	20.1
2014	25.9
2015	34.7
2016	19.8

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

წყარო: მსოფლიო ბანკი



წყარო: საქპატენტი

პროდუქციაში წარმოებული ინოვაციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: ISET კვლევითი ცენტრი

მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა,

(2017 წლის III კვარტალი)



	2016	2017 III Q.	Change (%)
ვაჭრობა	46,810	44,148	-6%
უძრავი ქონება	10,087	10,678	6%
დამამუშავებელი მრეწველობა	9,458	8,967	-5%
ტრანსპორტი და კაბშირგაბმულობა	6,680	6,482	-3%
მშენებლობა	6,203	5,778	-7%
სხვა სექტორები	14,263	20,234	41.9%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხების ზრდა



წელი	მლნ. ლარი	მლნ. დოლარი	მლნ. ევრო
2016 სექტემბერი	1,359.6	1,056.7	36.0
ოქტომბერი	1,363.8	1,051.8	35.8
ნოემბერი	1,397.0	1,062.5	36.3
2017 სექტემბერი	1,891.1	998.2	49.4
ოქტომბერი	1,946.9	1,046.8	51.7
ნოემბერი	1,991.2	1,060.1	54.2

ReforMéter
Tracking Progress One Reform at a Time

საპროცენტრო განაკვეთები მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებზე და სამომხმარებლო სესხიბზე





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოებზე უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები (დოლარი)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა 1,000 კაცზე

(2017 III კვ.)



	2016	2017 III კვ.	ცვლილება (%)
თბილისი	43,451.0	45,976.0	5.8%
იმერეთი	11,532.0	11,556.0	0.2%
აჭარა	9,791.0	10,217.0	4.4%
ქვემო ქართლი	6,503.0	6,519.0	0.2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6,343.0	6,136.0	-3.3%
კახეთი	5,458.0	5,434.0	-0.4%
შიდა ქართლი	4,159.0	4,148.0	-0.3%
სამცხე-ჯავახეთი	2,217.0	2,231.0	0.6%
გურია	1,984.0	1,996.0	0.6%
მცხეთა-მთიანეთი	1,513.0	1,513.0	0.0%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	550.0	519.0	-5.6%

ReforMeter
Tracking Progress One Reform at a Time

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური